1894 წელსა, № 15 ⁄ 16 1—30 აგვისტოს.

მწყემსი

ოფიციალური გაზეთი.

უმაღლესი მანიფესტი.

წყალობითა ღვთისათა

ჩვენ, ალექსანდრე მესამე,

იმპერატორი და თვით-მპყრობელი სრულიად რუსეთისა,

მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლანდიისა,

და სხვათა, და სხვათა, და სხვათა,

ვუცხადებთ ყველა ჩვენთა ერთგულთა ქვეშევრდომთა:

მოვიწოდეთ რა კურთხევა უზენაესისა, ჩვენ, ჩვენის საყვარელისა მეუღლისა, ხელმწიფე იმპერატრიცას მარია თეოდორეს ასულის თანხმობით, ნება დავრთეთ ქორწინებისა უსაყვარლესსა ასულსა ჩვენსა, დიდსა მთავრინასა ქსენია ალექსანდრეს ასულსა და მის იმპერატორებით უმაღლესობას დიდსა მთავარსა ალექსანდრე მიხეილის ძესა, და 25-სა დღესა ამა ივლისისას დიდის დღესასწაულობით იქმნა გარდახდილი იმათი ქორწინება მართლ-მადიდებელ ეკკლესიის წესისამებრ.

გაუწეებთ რა ამა ჩვენის მშობლიურის გულისათვის ბედნიერსა ამბავსა და მივანდობთ რა ბედსა ჩვენის უსაყვარლესის ასულისა და მისის მეუღლისას მეფეთა მეფის ეოვლად ძლიერსა მფარველობასა, გვაქვს სრული სასოება მისის მოწყალედ-ეოფისა და დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ერთგულნი ჩვენი ქვეშევრდომნი ჩვენთან ერთად აღავლენენ ვედრებასა ეოვლად შემძლებელისა უფლისა მიმართ, რომ მეუღლეობა მათი იეოს ბედნიერ და ახლად ჯვარ-დაწერილნი არ მოაკლდნენ კეთილ-დღეობასა.

ბრძანებულია ჰეტერგოფს, ოც-და-ხუთსა დღესა ივლისისას, წელსა ქრისტეს დაბადებიდგან ათას რვაას ოთხმოც-და-თოთხმეტსა, სოლო მეფობისა ჩვენიდგან თოთხმეტსა.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

«ალექსანდრე».

უწმიდესის სინოდის ბრძანება.

უწმიდესმა უმართებელესმა სინოდმა, განიხილა რა საქმე ტფილისის სასულიერო სემინარიაში 1893 წლის 1—4 დეკემბერს მომხდარ უწესოებათა, თავისის 1894 წლის 8 ივნისის № 2541-რის ბრძანებით დაადგინა: 1) ყველა სემინარიიდგან დათხოვნილი მოსწავლენი, იმის შესაფერად, რა მოწაფეობაც მიუღიათ უწესოებაში, სამ რიგად განაწილდნენ და სინოდის ამა წლის 19/31 იანვრის დადგენილება ძალაში იქმნას დატოვებული

მხოლოდ პირველ რიგის მოსწავლეთა შესახებ, მეორე რიგის მოსწავლეთ ნება მიეცეთ 189⁵/₆ სამოსწავლო წლის დასწყისში, ტფილისის გარდა, სხვა სემინარიების იმავე კლასში შეიყვანონ სწავლის განსაგრძობად, ხოლო მესამე რიგის მოსწავლეთ ნება დაერთოთ ეხლავ შეიყვანონ სხვა სემინარიების იმავე კლასში, ტფილისის სემინარიას გარდა და ამასთან პირველ რიგში ჩაითვალნენ შემდეგი მოსწავლენი: VI კლასისანი: ახალშენიშვილი ივანე, ალფაძე ილარიონი, გოგსაძე სპირდონი, ლოსაბერიძე დომენტი, ფანჯაკიძე ბორეგორი, ტროპაიძე კაპიტონი, ცაგარელი კლადიმირი, ცინცაძე ია კობი, დოლიძე ბესარიონი, სოლოდაშვილი ალექსანდრე; V კლასისა: მხეიძე ნოე, ბოჭორიშვილი არტემი, დავითაშვილი პეტრე, ქელბაქიანი სიმონი, მოდებაძე კარპი, ტროპაიძე ტარასი, ჭალაკანიძე პეტრე, ჩიჩანიძე, სოლომონი, ჩიკვაიძე კასიანე, შოშიაშვილი გიორგი, ჩიკვაძე სიმონი; IV კლასისა: აბესაძე აგესტინტი, გათრინდაშვილი ერმალაზი, კილაძე სამსონი, ყანჩაველი იოსები, ხუტაიძე კონსტანტინე, კაპანაძე ასონი, მარდიანი ივანე, ოგბარენკო თეოდორე, ფანჩულიძე მიხეილი, ფანჩულიძე პანტელეიმონი, ღვთისაკარიშვილი სიმონი; III კლასისა: ფხაკაძე კვთიმე, რურუა პარმენი, ჩხენკელი აკაკი, ჯულელი სეგერიანე, გოგოხია ალექსი, მეგრელიძე ასონი, მალალაშვილი ივანე, ნადირაშვილი ნიკოლოზი; II კლასისა: ოქროპირიძე მოსე, ალექსანდროვი მიხეილი—სულ 42 მოსწავლე. მეორე რიგში VI კლასისანი: ნადირაძე ანდრია; V კლასისა: არველაძე კირილე, ფანჯაკიძე ირმალიონი, ჯულელი პროკოფი, ხუციშვილი გიორგი, ჩიმაკაძე გრიგოლი, ხუნდაძე ლუკა, და II კლასისა: კოსტავა ისიდორე—სულ 8 მოსწავლე. მესამე რიგში: VI კლასისნი: მელაძე ბესარიონი, მჭედლიშვილი თომა; V კლასისა: ალშიბაია კასიანე, ყანჩაველი მელიტონი, ლაშხარი კლადიმირი, მესხი კლადიმირი, მუსერიძე ალექსანდრე, ასმეტელაშვილი დავითი, ყიფშიძე პარმენი, მრეკლიშვილი ნიკოლოზი, მუსერიძე ბართლომე; IV კლასისა: გელეიშვილი გიორგი, არაბაიშვილი ალექსანდრე, ჩხაიძე დომენტი, ჭელიძე სიმონი, მამინაშვილი გიორგი, სულხანიშვილი ნიკოლოზი, აბესაძე ელეკოფრი, თუთბერიძე კალაქტიონი, პასეხნიოვი მიხეილი და ლეკაკა ბენედიქტე; III კლასისა: ფანტულაია გიორგი, კალატოზიშვილი ივანე, ბარათაშვილი კიკტორი, თავლიაშვილი ნიკოლოზი, კეცხოველი კლადიმირი, მაჭარაანი კონსტანტინე; II კლასისა: ხახანაშვილი კონსტანტინე, დოლონაძე ალექსანდრე, ენუქაძე ვიქტორი, ბერძენიშვილი მიხეილი და ხუნდაძე გაბრიელი; I კლასისა: არსენიშვილი იერონიმე, ჭრელაშვილი კასიანე და შეველიძე თეოფანე—სულ 35 მოსწავლე. 2) მე-V კლასის მოსწავლე აბსაიძე სამსონი დატოვებულ იქმნას სწავლის განსაგრძობად ტფილისის სემინარიის იმავე კლასში, ხოლო ტფილისის სემინარის I კლასის მოსწავლე ჩოქოსხიძეს ეიანას ნება დაერთოს ქ. ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსებისთანავე ამ სემინარიის I კლასში შეიყვანოს. 3) მეორე და მესამე რიგში ჩარიცხულ მოსწავლეთ ეოფან ქცეკის ბალად დაესათ—4 (ოთხი). 4) იმ მოსწავლეებს, რომელნიც არ ისარგებლებენ სემინარიაში შესვლის უფლებით, ნება მიეცეთ, თუ მოისურვებენ, საქართველოს საეკლესიოს ეპარქიის მღვდელეკლესიის მსახურების თანამდებობაზედ შესვლისა ხოლო ერთის წლის უკან-კი მას შემდეგ, რადესაც მათი ამხანაგები სწავლას დამთავრებენ,

---

ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობისაგან.

უწმიდესის სინოდის 1894 წლის 8 ივნისის 2541 №-რის ბრძანებასა გამო, ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობა სთხოვს ზემოდ დასახელებულ მოსწავლეებს, რომელნიც მეორე და მესამე რიგში არიან ჩარიცხულნი, დაუყოვნებლივ გამოუგზავნონ მმართველობას თავისი უწინდელი, უწმიდესის სინოდის 1894 წლის 31 ივნვრის მე-456 №-რის ბრძანების თანახმად დარიგებული, საბუთის ქაღალდები, რათა იმათ მაგიერ ახალი მიეცეთ. მამა ბლაგოზინითაც, რომელთაც დარიგებული აქვთ ამ მოსწავლეთა საბუთის ქაღალდები და ჯერ ჯერ მოუსწრიათ გუოვნალებისამებრ გადაცემა, ვთხოვთ ეს ქაღალდები სემინარიის მმართველობასვე დაუბრუნონ.

ტფილისის სასულიერო სემინარიის იმ მოსწავლეთაგან, რომელნიც უწმიდესის სინოდის 1894 წლის 31 ივნვრის ბრძანების ძალით გადაყვანილ იქმნენ სხვა სემინარიებში, წარსულ სამოსწავლო წელს, სწავლა დაამთავრეს: ა) კიევის სემინარიაში: 1) ჯოშვილ ეპიფანემ, ვოინოვამ გრიგოლმა, გიორგობიანმა დავითმა—პირველის ხარისხით, თათარაშვილმა კონდრატემ, კასიმოვმა სერგეიმ, ფარდაშვილმა ივანემ და ლაზარევეიჩმა თეოდორემ—მეორე ხარისხით; ბ) სტავროპოლის სემინარიაში: ებანოიძემ, სოკოლოვსკიმ იაკობმა 10) კონოპლევმა კონსტანტინემ—მეორე ხარისხით; გ) დონის სემინარიაში: პოლიტოვმა კონსტანტინემ—პირველის ხარისხით და დ) ოდესაში: ზუბოვსკი ლეონიდმა.

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჴსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვჰოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 15—16 1883—1894 1—30 აგვისტოს.

შინაარსი ოფიციალური განყოფილებისა: უმაღლესი მანიფესტი.—უწმიდესი სინოდის ბრძანება – თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობისაგან.

შინაარსი სალიტერატურო განყოფილებისა: ქუთაისის სასულიერო სემინარია.—მოვალეობანი კაცისა.—პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.—ლექსნი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—საქართველოს მეფე წმ. არჩილი.—საეჭვო კითხვების განმარტება.—შეწირულებანი.—განცხადებანი

ქუთაისის სასულიერო სემინარია.

ივლისის თვეში ვაცნობეთ ჩვენ მკითხველებს უმაღლესად დამტკიცება უწმიდესის სინოდის წარდგინებისა სასულიერო სემინარიის დაარსების შესახებ ქ. ქუთაისში დასავლეთი საქართველოის სამღვდელოებისათვის. ეხლა ჩვენ უფრო დაწვრილებით მოუთხრობთ მკითხველებს ამ სემინარიის შესახებ. ქუთაისის სემინარიას აქვს მინიჭებული ყველა ის უფლება, რაიცა მინიჭებული აქვს სხვა სასულიერო სემინარიებს. ეს სემინარია განსხვავდება რუსეთის სხვა სემინარიებისაგან მით, რომ ამ სემინარიის პროგრამიდამ გამორიცხულია ლათინური ენა და ფილოსოფია. ამ წელში გაიხსნება მხოლოდ ერთი პირველი კლასი და შემდეგ ყოველ წლობით მოემატება კლასები. ამ წელში სემინარიისათვის უნდა დაიქირაონ სახლი და შემდეგისათვის იმედი აქვსთ სემინარიისათვის საკუთარი სახლის აშენებისა. სამღვდელოებას ეთხოვება შეატყობიოს მთავრობას, თუ რას შეეწევა იგი სემინარიის სახლის აშენებაში. სახლის აშენების შემდეგ ყველა შაგირდებმა უთუოდ პანსიონში უნდა იცხოვრონ. თითოეულ კლასში არ შეიძლება ორმოცზე მეტის მიღება. ინს-

პექტორად ქუთაისის სემინარიაში დანიშნულია რექტორის ჯამაგირით ნოვგოროდის სემინარიის მასწავლებელი მღვდელ-მონაზონი დიმიტრი.

მათმა ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა თვითონ ჩამოიტანა ეს სასიხარულო უქაზი ქუთაისის სემინარიის შესახებ. მათი მეუფება ცხრა აგვისტოს, დილის მატარებლით გამოემგზავრა თბილისიდამ. ძირულის რკინის გზის სადგურზე ნაშუადღევის მეოთხე საათზე მათ მეუფებას შეეგება ადგილობითი ბლაღოჩინი დეკ. დ. ღამბაშიძე. რიონის რკინის გზის სადგურზე მათ მეუფებას შეეგებნენ ქუთაისის კათედრის ტაძრის დეკანოზი გ. ცაგერეიშვილი, დეკანოზი ი. კიკაჩეიშვილი, სობოროს მღვდელი ბლაღოჩინი მ. ნ. შვანგირაძე, ეპარქიალური კანცელარიის მდივანი და ქუთაისის პოლიციის უფროსი კ. ი. სვიმონოვი. ქუთაისის რკინის გზის სადგურზე მათ მეუფეფებას შეეგება ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი და სხვა და სხვა უწყებათა წარმომადგენელნი. აქედგან ექსარხოსი გაემგზავრა კათედრის სობოროში, სადაც მათ მეუფებას მიეგება სამღვდელოება, ქუთაისის ვიცე გუბერნატორი და მრავალი ხალხი. მცირე ლიტიის შესრულების შემდეგ მათი მეუფება ყოვლად სამღვდელო გაბრიელთან ერთად გაემგზავრა ყოვლად სამღვდელოს სასახლეში. მეორე დღეს, ათს აგვისტოს მათმა მეუფებამ ექსარხოსმა ვლადიმერმა ინება იმ ადგილის დათვალიერება, სადაც ფიქრობენ ქუთაისის სასულიერო სემინარიისათვის შენობის აგებას. ამ ადგილის დათვალიერების შემდეგ მათი მეუფება ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელთან ერთად ეტლით წაბრძანდენ გაენათის მონასტერში. აქ მათი მეუფება დარჩა სამი საათი. სადილის შემდეგ ექსარხოსი გაემგზავრა მოწამეთის მონასტერში. საღამოზე მათი მეუფება დაბრუნდა ქუთაისში და დაბინავდა დეკანოზის გ. ცაგერეიშვილის სახლში, რადგან მათი მეუფება ამ დღესვე ღამის მატარებლით აპირებდა თბილისში დაბრუნებას. ნაშუაღამევის სამ საათზე მათი მეუფება გაემგზავრა თბილისში.

ეხლა ქ. ქუთაისში 27 სექტემბრისათვის მოწოდებულია სამღვდელოების წარმომადგენელნი კრების მოსახდენად, როგორც იმერეთის, ისე გურია-სამეგრელოის ეპარქიებიდამ. ამ კრებაზე სამღვდელოების დეპუტატებმა უნდა გადაწყვიტონ, თუ რა შემწეობას აღმოუჩენს დასავლეთის საქართველოის სამღვდელოება სასულიერო მთავრობას მომავალი სემინარიისათვის ერთ დროებითად შენობის აგების და ყოველწლობით ამ სასწავლებლის შესანახავად საჭირო ხარჯში...

სასურველია, რომ ორი ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრებაზედ თანაუგრძნონ მთავრობას და ერთგულობა და ერთსულობა გამოიჩინონ საზოგადო სემინარიის საქმეში. ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ სემინარიის საქმე კარგად იქნეს წაყვანილი და დაეხმარონ მართებლობას ამ კეთილი საქმის დაგვირგვინებაში. მართალია, სამღვდელოება დასავლეთი საქართველოისა ძლიერ ღარიბია, და მართალი უნდა ვსთქვათ, არც ეკკლესიებია შეძლებული და მდიდარნი, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამღვდელოება არა მცირეა. თითოეულმა კრებულმა ცოტაც რომ გამოიღოს, ბევრს შეადგენს და საქმეც ადვილად შესრულდება.

მოვალეობანი კაცისა *).

(ჩვენი ზოგიერთი ვაჟ-ბატონების საყურადღებოდ, რომელნიც სარწმუნოების საქმეში დაუდევრობას იჩენენ).

რამოდენიმე რჩევა.

გაცთომაყვარება და მოწყალება.

ზემოთ აღნიშნულ მოფიქრებათა და იმ მრავალ დამტკიცებათა შემდეგ, რომელიც შეიძლება დავა სახელოთ ქრისტიანობის სასარგებლოდ, შენ უნდა დაიმშვიდო გული, ჩემო მეგობარო, და მტკიცედ დაადგე შემდეგ აზრს. ხშირად განიმეორე შენთვის: «მე არ მსურს ყური ვათხოვო ყველა იმ ბრწყინვალე, მაგრამ არარაის დამამტკიცებელ საბუთებს, რომელთაც სურთ უარჰყონ ჩემი სარწმუნოება; მე ვხედავ, თუ რამდენად უსაფუძვლოა ის აზრი, ვითომც ქრისტიანობრივი სარწმუნოება კაცს თავისუფლებას უხშავს და რომ იგი, ვითომც, გამოსადეგია მარტო ბარბაროს დროთათვის, და არა ჩვენი განათლებული საუკუნისათვის: არა! როგორი გამოსადეგიც იყო ქრისტეს სარწმუნოება აზიური, საბერძნეთის ანუ რომაული განათლებისათვის და საშუალო საუკუნეების ხხვა და ხხვა დროთათვის და ყველა ერთათვის, რომელნიც იმ დროიდან შეიდნენ განათლებაში, ისე ეს ქრისტეს სარწმუნოება დღესაც საკვებით აკმაყოფილებს ჩვენი დროის უმაღლესად განათლებულ პირთა. მე ვხედავ, რომ პირველ მწვალებელთაგან მოყოლებული ვოლტერამდე და მის თანამოაზრეთამდე, ყველანი იმას იკვეხოდნენ, რომ, ვითომ, ისინი უფრო უკეთეს რასმე ასწავლიდენ ხალხს, მაგრამ არასფერი კი არ გაურიგებიათ. მაშასადამე, ვიდრემდე მე ვარ მტერი უმეცრებისა და მეგობარი ჭეშმარიტებისა, მე ყოველთვის სასიხარულოთ მივითვლი, რომ ქრისტიანე ვარ, და საბრალო არსებად ჩავთვლი ყველას, რომელიც კი მე დამცინებს და ფარისეველს მიწოდებს».

თუ შენ ყოველივე ეს გაიგე და შეიგნე, იყავ მტკიცე და შეურყეველი. სულით და გულით პატივი ეცი შენს სარწმუნოებას და აღიარე იგი ყველა მორწმუნეთა და ურწმუნოთა წინაშე; მაგრამ აღიარე იგი ღვთის მსახურების წესების არა გულიცივი და გარეგანი აღსრულებით, არამედ ეს მსახურება გააცხოველე შენი მაღალ-აზროვანობით. გიკვირდეს სიდიადე სარწმუნოების საიდუმლოთა, და ნუ ცდილობ უკულმართად მათ გამოაშკარავებას, აღიჭურვე ქველ-მოქმედებით, რომელიც ამ საიდუმლოთაგან წარმოსდგება და ნურას დროს ნუ დაივიწყებ, რომ მარტო ლოკეთი ღვთისადმი თაყვანის ცემას არავითარი ფასი არა აქვს, არამედ ჩვენ უნდა ვადიდებდეთ ღმერთს ყოველივე ჩვენი საქმეებითაც.

ბევრი ხალხია, რომელთაც გაიგეს სიმშვენიერე და ჭეშმარიტება ქრისტეს სარწმუნოებისა და გრძნობენ, რომ ეს სარწმუნოება უმაღლესია ყოველივე სიბრძნეზე, რომ იგი წინააღმდეგია ყოველივე უსამართლოებისა და რომ იგი ყველაზე უკეთესად ავითარებს კაცის ყოველ უპირატესობას, მაგრამ ეს ხალხი, სამწუხაროდ, მაინც კიდევ, ბრბოს მაგალითს მისდევს და ისე ცხოვრებს, ვითომც ქრისტიანობა მარტო მდაბიო ხალხისათვის იყოს დაარსებული, და არა განათლებულ პირთათვის. მაგრამ იცოდე, რომ ეს ხალხი უფრო დიდ პასუხის გებაში ვარდება, ვინემ სრულიად ურწმუნონი, და ამისთანაები, სამწუხაროდ, ხომ ძლიერ ბევრნი არიან!

მეც ხომ ამ უკანასკნელთა რიცხვს ვეკუთვნოდი და ვიცი, თუ რა ძნელია ამ აუტანელი მდგომარეობისაგან თავის დახწევა. მაგრამ ნუ შეგეშინდება, თუ შენც ოდესმე ჩავარდე ამისთანა მდგომარეობაში. ნუ გრცხვენია ხალხის დაცინების, როცა საჭიროა გამოსთქვა ღირსეული გრძნობა, მხოლოდ მითხარი მე —არის თუ არა რომელიმე გრძნობა ღვთის სიყვარულზე უფრო ღირსეული?

თუ შენ სძლიე ყველა ცრუ შეხედულობა და შენი საკუთარი დაუდევრობა, მაშინ ეცადე არ უჩვენო სარწმუნოების წინააღმდეგთ სული, რყევა და იჭვიანობა. თავი დაიმდაბლე ღვთისა და კაცთა წინაშე, მაგრამ ამავე დროს ნუ დაივიწყებ შენს კაცურ ღირსებასაც და ნურას დროს ნუ უარჰყოფ გონიერ მსჯელობას. მხოლოდ მედიდური, რომელიც მოკლებულია სიყვარულს, არ ემორჩილება წმიდა სახარებას.

მხოლოდ სარწმუნოება აგონებს კაცს ჭეშმარიტი კაცთ-მოყვარების და მოწყალების მოვალეობას. მოწყალება არის წმიდა სიტყვა, და ამ სიტყვაში აბის რაღაცა ღვთაებრივი, თუმცა ბევრი სოფისტები ობ-

*) იხ. «მწყემსი» № 14, 1894 წ.

როტად ხმარობდენ ამ სიტყვას.

ყოველად შემძლეს უყვარს კაცთა ნათესავი და სურს, რომ თითოეულს ჩვენგანს აგრეთვე უყვარდეს ყოველი კაცი. როგორც წინათაცა ვთქვით, ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია კეთილი და თვითონ კმაყოფილი ვიქნეთ, და პატავი ვეცით ჩვენს თავს, როცა ჩვენ ვბაძავთ ღმერთს იმ სიყვარულში, რომელიც ჩვენ მოყვასთ აქველ-მოქმედებს და, შეძლებისა და გვარ, მოაქვს მათთვის კეთილი.

ამ სიყვარულისაგან მომდინარეობს ყოველი ღირსება კაცისა და ამიტომ უნდა ვცდილობდეთ მის განცხორციელებას. მაგრამ განა საჭიროა ვეძიოთ ამის იდეალი, როცა თვითონ სარწმუნოება გვაძლევს ჩვენ ასეთ მაგალითს! ის, ვისაც ჩვენ სარწმუნოება გვისახავს მაგალითად—არის არსება მეტისმეტი ძლიერების და სიმშვიდის მქონე, დაუძინებელი მტერი ფარისეველობისა, შეიწროებისა, კაცთ-მოყვარე, მიმტოვებელი ყოველ ვეი, გარდა შეუპოვარი მოუნანებლობისა, მას სძულს შურისძიება მაშინაც კი, როცა შეუძლია სამაგიერო გადაუხადოს თავის მტრებს, იგი ღარიბებს ისე ეკცევა, როგორც თავის ძმებს, ხოლო ბედნიერთ არ ჰკიცხავს მათი ბედნიერებისათვის, როცა ისინი არ ივიწყებენ თავიანთ ღარიბ ძმათაც, იგი აფასებს ხალხს მათი ძლიერების და განათლების მიხედვით კი არა, არამედ მათი კეთილ ლტოლვილებისა და მათი მოქმედებისათვის. იგი არის ერთად ერთი, ჭეშმარიტად ყოველად ბრძენი, რომელსაც არავითარიმე ნაკლი არა აქვს. ეს სრული, ღვთაებრივი კეთილ თვისებით სავსე არსება, რომელმაც მიიღო ჩვენი მზგავსება, არის ღმერთი და კაცი. რასაკვირველია, დიდის პატივის-ცემით მოეპყრობა კაცთა ის, ვისაც კი დამარხული აქვს გულში ასეთი მაღალი მაგალითი. სიყვარულს ყოველთვის თან ახლავს პატივისცემა. თუ გინდა ძლიერ გიყვარდეს კაცობრიობა, საჭიროა ღრმა პატივსაც სცემდე მასს.

იმას, ვისაც მრუდე შეხედულება აქვს შედგენილი კაცზე და ვისაც კაცთა ნათესავი მიიჩნია ფარად მცბიერ და უაზრო ცხოველებისა, რომელნიც, თითქო, მარტო მისთვის იყვნენ აჩენილნი, რომ ჭამონ, გამრავლდენ, იმოძრაონ და შემდეგ მიწად იქცნენ, ვინც განათლებაში, ხელოვნებაში და მშვენიერებისა, კეთილისა და ღვთაებრივისადმი მისწრაფებაში ვერავითარ უზენაესს ვერ ხედავს, იმას ჯეროვნად არ შეუძლია პატივი სცეს და შეიყვაროს თავისი მოყვასი, იგი ვერ წაქეზებს თავის მოყვასს, რათა იგი ილტოლდეს ქველ-მოქმედებისადმი და არც შეუძლია თავისი თავი შესწიროს კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

თუ გსურს შეიყვაროს კაცობრიობა, შეუშფოთებლად უნდა უცქერდე კაცთა სისუსტეს და ნაკლოვანებათა. როცა შენ ხედავ, რომ ხალხი უმეცრებაში იმყოფება, მოიგონე თუ რა დიდი ნიჭი აქვს კაცს მიმადლებული; ეს ნიჭი არის მისი სულიერი ძალა: ამ ნიჭის მეოხებით, თვით გაუნათლებელ კაცს შეუძლიან შეიქმნეს ყოველად კეთილის მყოფელი. ე. ი. მას შეუძლია გახდეს მხნე, შემბრალე, მადლიერი და მართალი. არიან ხალხნი, რომელთაც არასოდეს არ შეუძლიათ განვითარდენ და ქველ-მოქმედნი შეიქმნენ, მაკრამ ასეთი მოკლეა, საბედნიეროდ, ძლიერ იშვიათია და არავითარი დამოკიდებულება არა აქვს კაცობრიობასთან საზოგადოდ. მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის, ღირსია ეს ხალხი ვაუგოთ, თუ არა და ან რამდენად საუკეთესონი არიან ისინი. ჩვენთვის საკმაოა ვიცოდეთ მხოლოდ ის, რომ თითოეულს ჩვენგანს ანგარიში მოეთხოვება მხოლოდ მის შესახებ, რაც ჩვენ თვითონ მივიღეთ ბუნებისაგან.

კაცთა შორის ჩვენ ხშირად ვხედავთ ისეთ პირთ, რომლებშიაც მთლად განხორციელებულია ზნეობითი სიდიადე კაცობრიობისა: ამ პირთ შეუძლიათ ჩვენი გზის მაჩვენებელნი იყვნენ, რათა იმას მივახწიოთ, რაებიც უნდა ვიყვნეთ ჩვენ. საქმე ის კი არ არის, ჩვენც ისეთივე გამოჩენილნი და სახელოვანნი შევიქნეთ, როგორიც ისინი იყვნენ, არამედ საქმე ის არის, რომ ჩვენც შეგვიძლია გაუთანასწორდეთ მათ ზნეობითი ღირსებით, ალვძრათ ჩვენ ში ყოველგვარი კეთილშობილური თვისებანი, და ყოველივე ამას მოვახერხებთ, თუ ჩვენ მოვიხმართ გონებას, რომელიც მოგვმადლა ბუნებამ და არ დავრჩებით სიბნელეში.

თუ ჩვენ ზიზღით დაუწყებთ ცქერას კაცობრიობას მხოლოდ მისთვის, რომ ჩვენ ჩვენის თვალით ვხედავთ და ან ისტორიიდამ ვეტყობილობთ, თუ რამდენ სისაძაგლეს ჩადის კაცობრიობა, აქვე თვალწინ უნდა წარმოვიდგინოთ ის ღირს შესანიშნავნი კაცებიც, რომელნიც იმავე ისტორიის ფურცლებად ითვლებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად ავიღოთ მოსე. იმან წამოაყენა ფრიად დაცემული ერი და იხსნა ის სამარცხვინო კერპთაყვანისმცემელობისა და მონობისაგან: მან მიიღო ღვთისაგან ძველი აღთქმა, რომელსაც საკვირველი კავშირი აქვს პატრიარქების სარწმუნოებას ახალი დროის სარწმუნოებასთან. ე. ი. სახარებასთან. მისი საშუალებით უფალმა დაბადა თავის ერში დიდი სახელმწიფო კაცნი, მამაცი მხედარნი, პატიოსანი მოქალაქენი და წმიდა მებრძოლნი სიმართლისათვის, რომელნიც მოწოდებულ იქმნენ ეხარებიათ კაცთა ნათესავისათვის მომავალი ახალი აღთქმის სიხარული.

უეჭველია, რომ დიდ და შესანიშნავ კაცთა არსება აქარწყლებს იმ ბრუნდე შეხედულობას, რომელიც ზოგიერთებს აქვს შემდგარი კაცის ბუნების ღირსებაზე. რამდენ დიდ კაცთ ვხედავთ ჩვენ უხსოვარ რომაელთა დროს, ბარბაროსულ და საშველო საუკუნოებში და აწინდელს განათლებულს საუკუნეშიაც; რამდენ წმიდა მამებს, მოწამედ ჭეშმარიტებისათვის, გაჭირვებულთა მანუგეშებელთ ვხედავთ ჩვენ, რომელნიც შესანიშნავნი იყვნენ თავიანთი სიბრძნით და მოყვასთა სიყვარულით! რამდენი მამაცი გმირია, რომელთაც თავი შესწირეს სიმართლისათვის, რამდენია მეძიებელნი განათლებისა, რამდენი დიდი პოეტები, ბრძენი, მსწავლულნი და გამოჩენილი ხელოსანნი არიან! არც წარსული დრო, არც ამ გამოჩენილ პირთა საუკეთო ბედი ნებას არ გვაძლევს ჩვენ ვიფიქროთ, რომ ეს პირნი სულ სხვა გვარად იყვნენ გაჩენილნი, ვინემ ჩვენ. არა, ისინიც ისეთივე მამაკაცანი იყვნენ, ისეთივე კაცნი, ნაშობნი ქალთაგან, რომელთაც, როგორც ჩვენ, გამოსცადეს ყოველივე წვალება, აქვნდათ კაცობრიული ენებანი და ვალდებულნი იყვნენ ებრძოლათ თავის ცუდ მიდრეკილებისათვის, შერცხვენოდათ თავიანთი თავის და ბოლოს დიდის შრომით დაეპყრობილებიათ თავიანთი საკუთარი «მე».

ყველა ხალხთა ცხოვრების-აღწერა და სხვა ნაშთები, რომელთა კი ჩვენამდე მოაღწია, გვეუბნებიან ჩვენ, რომ ქვეყანაზე ძლიერ მცირე ნაწილი ყოფილა კეთილშობილ კაცთა. დღესაც აგრეთვე ათასობით ცხოვრებენ ზოგიერთნი პირნი, რომელნიც არაფრით შესანიშნავნი არ არიან, რომელნიც თავის გონების ნაყოფით და თავისი კეთილშობილი საქმეებით ამაღლებენ კაცობრიობას, ყოველ დღე აკეთილშობილებენ კაცის სახელს და ამით ახორციელებენ იმ აზრს, რომ კეთილ კაცთ ერთობა აქვსთ ურთიერთ შორის და ღმერთთან. მაგრამ როცა ამ კეთილ კაცებს უცქერით, ამავე დროს არ შეგვიძლია დავივიწყოთ ზოგიერთნი უგნურნი და გარყვნილნი პირნი; ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ კაცს ყოველთვის შეუძლია პატივი სცეს თავის პიროვნებას თავისი კეთილგონიერებით, დაიფაროს თავი გარყვნილებისაგან და ყოველ დროს, როგორიც კი უნდა იყოს მისი ბედი, განამშვენიეროს თავის თავი ყოველი ქველ-მოქმედებით.

ამისათვის საჭიროა ჯეროვანი პატივისცემით მოვეპყრათ კაცს და შევიგნოთ, რომ კაცში არის მისწრაფება, რომლის ძალით ის კდილობს მიაღწიოს სისრულეს და აქედამ ცხადია, რომ კაცი დაბადებულია უფრო უმაღლესი ცხოვრებისათვის, ვინემ ქვეყნიური დროებითი ცხოვრებისათვის, რომლის ძირეულ კანონს იგი ექვემდებარება.

თუ ყოველივე ამას მივიღებთ სახეში, ვიგრძნობთ, რომ ჩვენ უფრო თანაუგრძნობთ კაცს და მისი უბედურება და შეცდომა მაშინ უფრო შეგვაწუხებს, როცა წარმოვიდგენთ მისი ბუნების კეთილშობიერებას. ჩვენ სამწუხაროდ დაგვრჩება ქვეყნის მეუფის დამდაბლება, ჩვენ ვისურვებთ აღმოვფხრათ მისი უსამართლობა და სიხარულით მივაწოდებთ მას ხელს, რომ იგი ხელახლად ამაღლდეს იმ სიმაღლემდე, რომელიც მას შეშვენის. ჩვენ ჭეშმარიტად გავიხარებთ, როცა იგი, გაიხსენებს რა თავის კაცურ ღირსებას, როგორც წვალებათა და დამცირებათა შორის, ისე მძიმე გამოცდილებათა შორის, დარჩება უძლეველი და თავის ნების ძალით მიუახლოვდება თავის ღვთაებრივ იდეალს.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.

დედა-ენა, მისი მნიშვნელობა, ზომები დედა-ენის სასწავლოდ პირველ დაწყებით საერო და სასულიერო სკოლებში.

(წერილი მერვე *).

«გადადი ცნობილიდგან უცნობზეო»—ამ მოთხოვნილების შესრულება შეადგენს ერთგვარ პრაქტიკულს სიძნელეს, რადგანაც პირველად სკოლაში შემოდიან სულ სხვა და სხვა ცნობებით აღჭურვილი ბავშები. მაგრამ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება მასწავლებელს შეუძლიან და შეუმსუბუქდება კიდეც მისი დაკმაყოფილება თუ ყურადღებას მიაქცევს და გაიცნობს სკოლაში შემოსვლის დროამდის ბავშების ერთფერულ ცხოვრებას, მათ მომზადებულობას, განვითარებას თუ როგორი მომზადებულნი შემოდიან სკოლაში. ამიტომ საუკეთესო პედაგოგები და პსიხოლოგები ურჩევენ მასწავლებლებს—მოწაფეებს დაუწყონ სწავლება მხოლოდ მაშინ, როდესაც კარგად გაიცნობენ საზოგადოთ ყველა მოწაფეების გონება-გახსნილობის ვითარებას და კერძოთ თვითეულის პიროვნებით, ინდივიდიალურ, განსაკუთრებას. ინგლისელი პსიხოლოგი ბენი ამბობს: «ის მასწავლებელი, რომელიც სწავლების დროს არღვევს დიდაქტიკურს კანონს—გადადი ცნობილიდგან უცნობზეო, უნდობლად ცუდია და რომელსაც კი შეუძლიან გულზე ხედადებითა სთქვას, რომ მას არაოდეს არ დაურღვევია ეს კანონი, ღირსია უკვდავი დიდებისაო». მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ სწავლების დროს ცნობილიდგან უცნობზე გადასვლა შველის ბავშებს ცნობების საფუძვლიანად, ცხადად და სისტემატიურად შეძენაში. ვსთქვათ მოწაფეებმა უნდა შეისწავლონ რომელიმე ახალი ხმა, ამისათვის ხმის გამოსაცალკევებლად, ანალიზისათვის უნდა იქმნას აღებული ისეთი სიტყვა, რომელშიდაც ერთის ხმის გარდა ყველა იციან. ცნობილ ხმებთან ერთად ბავშები ადვილად გამოიცნობენ უცნობ ხმასაც;—აქედგან ის დასკვნა შეიძლება გამოიყვანოს კაცმა, რომ ვიდრე მასწავლებელი გადაცემდეს მოწაფეებს რასმე ახალ ცნობებს, საჭიროა მასწავლებელმა წინ და წინ მოიფიქროს, თუ რომელ წინად შეძენილ ნასწავლ მასალას შეუძლიან შეუერთონ ახლად ნასწავლი და სხვა.

ყველა ახლად შეძენილი ცოდნა შეიქმნება ბავშების საკუთრებად და დაიცვის მათ მეხსიერებაში მხოლოდ მაშინ, თუ ხსენებული ცოდნა შეძენილი აქვს ბავშს თავისთავად, დამოუკიდებლად, თავის საკუთარი მოსაზრებით. აქედგან გამოდის საჭიროება მოწაფის თვით-მოქმედების გაღვიძებისა. სამშობლოენის შესწავლის დროსაც, უმეტეს ნაწილად, წერაკითხვის გაკვეთილი იქმნება, თუ კითხვის ან გრამატიკის, ყოველთვის მოწაფე უნდა მუშაობდეს დამოუკიდებლად; მხოლოდ მასწავლებელმა კი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მოწაფეებს მისახვედრი კითხვებით, დაწყოს, დაალაგოს სასწავლო მასალა წინად მოფიქრებულ გეგმაზე, მოწაფეები იძენენ ცნობებს ან დასკვნიდგან, რომელსაც თვითან დამოუკიდებლად მასწავლებლის მისახვედრი კითხვების შემწეობით გამოიყვანენ და ან მზამზარეულ დებულებათაგან. ამათი უპირატესობა დამოკიდებულია, როგორც სასწავლო საგნის ხასიათზე, აგრეთვე მოწაფეების გონება-განვითარებაზედაც. მაგალითად გრამატიკის, ენის კანონების შესწავლის დროს სასარგებლოა პირველი საშვალება. რადგანაც საზოგადოდ ერთის მხრით ბავშის გონება გაფანტულია და მათი ყურადღება თხოულობს მუდმივ გაღვიძებას და მეორეს მხრით, რადგანაც ის ცნობები, რომელიც დამოუკიდებლად თვით მოქმედებით არის შეძენილი, უფრო მკვიდრი და საფუძვლიანია, ვიდრე მზამზარეულად გადაცემული სწავლა, ამიტომ მასწავლებლები ყოველ საჭირო შემთხვევით უნდა სარგებლობდენ, რომ შეიაფერისი და მისახვედრი კითხვებით გამოიწვიონ მოწაფეებში თვით-მოქმედება რომელიმე კანონის, წესის და კანონის შესამუშავებლად.

უმთავრესნი საშვალებანი სამშობლო ენის წესიერად შესასწავლი არიან: კითხვა, ზეპირი სიტყვა-პასუხი, მწერლობითი და გრამატიკული ეარჯიშობანი.

მასწავლებელი მოვალე არის ასწავლოს მოწაფეებს ხმა მაღალი, კანონიერი, მსწრაფი, შეგნებული და ხელოვნებითი კითხვა. ამისათვის მასწავლებელს ცხადათ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, როგორც კითხვის ჩამოთვლილი თვისებათა მნიშვნელობა,

*) იხ. «მწყემსი»-ს № 14 1894 წ.

აგრეთვე ის საშუალებანიც, რომლითაც შეიძლება მიზნისადმი მიხწევა.

ხმა მაღალი კითხვა იმაში მდგომარეობს, რომ თვითეული მოწაფეს მიერ გამოთქმული სიტყვა ადვილად, ცხადათ, თავისუფლად, სმენელობის ძალა დაუტანებლად იყოს გასაგონი, როგორც სხვა მოწაფეთა, ისე მასწავლებლებისათვისაც. თუ კითხვის ამ თვისებას სკოლაშივე არ მიექცა შესაფერისი ყურადღება, ბავში ამ გვარ ჩვეულებას სკოლიდან ცხოვრებაშივე გაიტანს, ამიტომ ყველა მასწავლებლები კითხვის დაწყების პირველ დღიდგანვე ვალდებულნი არიან ეცადონ და დააჩვიონ მოწაფეები ზომიერ ხმა მაღლა წაკითხვას. ამისათვის არსებობს შემდეგი საშვალებანი: ა) მუდმივი აუცილებელი მოთხოვნილება, რომ ბავშმა იკითხოს ხმა მაღლა. როცა ბავში ჩუმად კითხვას დაიწყებს, მასწავლებელმა მაშინვე უნდა მიაქციოს ყურადღება და ეცადოს წააკითხოს ისე ხმა მაღლა, როგორც რიგია. რაკი მოწაფეები გაიგებენ მასწავლებლის მუდმივ მოთხოვნილებას, თვითონაც ეცდებიან მისს დაკმაყოფილებას. ბ) მასწავლებლის საქციელში, სიტყვა-პასუხში, მოქმედებაში არაფერი არ უნდა იყოს იმისთანა, რომელსაც შეეძლოს ბავშის დაფრთხობა, შეშინება, მისთვის რომ მშიშარას და დაფრთხობილს ბავშს არაოდეს არ შეუძლიან თავისუფლად, მთელის ხმის ძალით წაკითხვა. მასწავლებლის დაუნდობლობა და შიში ბავშებს უკარგვენ თავიანთ ფიზიკურს და სულიერს ძალას, პარვენ ხმებს და ძლიეს გასაგონებლად კითხულობენ. შიში და გაუბედაობა კი არა—სრული ნდობა და სიყვარული მასწავლებლისადმი—აი რა უხსნის ენას ბავშებს და ავალებს ამ უკანასკნელებს დააკმაყოფილონ მასწავლებლის ყველა მოთხოვნილებანი და მასთან ხმა მაღალი კითხვაც. გ) თუ მოწაფე ჩუმად, ხმა დაბლა კითხულობს, მასწავლებელმა უნდა უთხრას მოწაფეს, რომ მას არ ეყურება წაკითხული და უბრძანოს ხმა მაღლა წაკითხვა, გაშორდეს თვითონ მოწაფეს, რომელიც ჩუმათ კითხულობს და მოითხოვოს ხმა მაღალი კითხვა. ამ ზომის ვარგისობას გამოცდილება სრულიად ამტკიცებს. დ) როცა მოწაფე ჩუმად კითხულობს, მასწავლებელი უბრძანებს სხვა მოწაფეს, რომელიც ხმა მაღლა კითხულობს, იმასვე შემდეგ მიუბრუნდება და ეტყვის: არა, ახლა შენ სცადე, წაიკითხე ისე ხმა მაღლა, როგორც შენმა ამხანაგმა წაიკითხა, რასაკვირველია შენც ისე წაიკითხავ, მხოლოდ უნდა ეცადო კი. ეს საშუალება ამხნევებს ბავშს და ულვიძებს კეთილმოშურნეობას, უჩვენებს ბავშს, რომ მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ იმასაც თავის ამხანაგივით კარგათ შეუძლიან წაკითხვა. ე) ერთად ხოროთი წაკითხვაც ერთი კარგი საშუალებათაგანია ხმა მაღალი კითხვის შესასწავლებლად. უმეტეს შემთხვევაში, როდესაც ბავშების უმეტესი რიცხვი ხმა მაღლა წარმოსთქვამენ სიტყვებს, ჩუმად მკითხველებიც თავის თავად, შეუმჩნეველად მიყვებიან საზოგადო ხმა მაღალ კითხვას, შესაფერისის სიძლიერით წარმოსთქმენ სიტყვებს. ვ) ლოცვების გალობა და სიმღერებიც ერთ საუკეთესო საშვალებად არის აღიარებული. გალობა უხსნის ბავშს ხმის ორგანოებს. ამიტომ სიმღერა-გალობის სწავლებასაც დიდი გავლენა აქვს ხმა მაღლა კითხვაზე. ის ბავში, რომელიც გალობს, ყოველთვის შესაფერისად ხმა მაღლა კითხულობს. ზ) თვითან მასწავლებლის ხმა მაღალ კითხვასაც აქვს მნიშვნელობა. იქ, სადაც მასწავლებელი ჩუმად კითხულობს, მოწაფეებიც ამ თვისებით განირჩევიან. მასწავლებელმა უნდა მიაქციოს ყურადღება მოწაფის ხმის სიძლიერეს, გაკვეთილების შუა—თამაშობის დროს და თუ დაინახა, რომ მოწაფე ხმა მაღლა ლაპარაკობს თავის ამხანაგებში, მასწავლებელს შეუძლიან სამართლიანად შენიშნოს, რომ — თუ თამაშობის დროს ლაპარაკობ ხმა მაღლა, კლასში კითხვის დროსაც არ უნდა ჩამორჩე შენს ამხანაგებს და სხვ.

კანონიერი კითხვა ჰქვიან ხმების, მარცვლების და სიტყვების ისეთ გამოთქმას, რომ მათში არ იყოს არც გაძოტოვებული, არც ჩამატებული, არც გადატან-გადმოტანილი და არც ჩართული ერთის ხმის მარცვლის, სიტყვის მაგიერ, რაც არ არის სიტყვაში, ან წინადადებაში. პირველი საშუალება კანონიერი კითხვის შესასწავლად არის თვითან მასწავლებლის მიერ ყოვლის მხრით წესიერი კითხვის ცოდნა. მასწავლებლის მაგალითი, როგორც სხვა მხრივ, ისე კითხვის სწავლების დროსაც ნაყოფიერად მოქმედობს ბავშზე. გარდა თავისი საკუთარი მაგალითისა, მასწავლებელი კანონიერი კითხვის სწავლების დროს უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგი დიდაქტიკური წესებით: კითხვის დროს დაშვებული შეცდომები პირველად უნდა გასწოროს იმ მოსწავლემ, რო-

მელმაც დაუშო შეცდომა, თუ ამან ვერ გაასწორა, მაშინ უნდა მიმართონ სხვა მოწაფეებს. თვითონ მასწავლებელმა ძალიან იშვიათ შემთხვევაში უნდა გაასწოროს მოწაფის მიერ დაშვებული შეცდომები— მხოლოდ მაშინ, როცა ხედავს, რომ მოწაფეთაგან არავის შეუძლიან რომელიმე შეცდომის გასწორება. როდესაც სხვა მოწაფეთაგანი ან მასწავლებელი გაუსწორებს შეცდომას რომელიმე მოწაფეს, მაშინ ამ უკანასკნელმა უნდა წაიკითხოს ისე, როგორც გაუსწორეს. თუ მოწაფეებს უჭირთ რომელიმე სიტყვის კანონიერად გამოთქმა, მაშინ სიტყვა უნდა დაჰყონ მარცვლებად და ისე ათქმევინონ, სანამ არ დაისწავლიან. ხოროთი კითხვაც კარგი საშვალებაა კანონიერი კითხვის შესწავლისათვის. ხოროთი კითხვის დროს მოწაფეები უფრო ხალისიანად და ცოცხლად ვარჯიშობენ სიტყვების კანონიერად გამოთქმაში, ვიდრე ცალ-ცალკე კითხვის დროს. სუსტი ბავში ყურს უგდებს თავის ამხანაგების კანონიერს გამოთქმას და თვითონაც უნებლიეთ ბაძავს მათ. ისეთი სიტყვები, რომელიც წასაკითხავად ძნელია, უნდა დაიწეროს საკლასო დაფაზე და თვითონ მოწაფეებმა უნდა ჩასწერონ თავიანთ რვეულში. ამ შემთხვევაში მოწაფეებს ეძლევათ საშვალება მიაქციონ ყურადღება იმ ხმებს, რომლისაგანაც შესდგება ხსენებული სიტყვა და დაიმახსოვრონ მისი სწორი კანონიერი გამოთქმა. ხშირად მოწაფე ჩქარობს კითხვის დროს და უკანონოდ გამოთქვამს სიტყვებს უყურადღებობისა და სიჩქარის გამო. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა შეაყენოს მოწაფე, დაუშალოს სიჩქარე და მიაქცევინოს ყურადღება წასაკითხს სიტყვაზე.

ყველაზე უფრო გულმოდგინეობა და სასტიკი ყურადღება უნდა მიაქციოს მასწავლებელმა პირველ წელიწადს, პირველად კითხვის დაწყების დროს, რადგანაც პირველ წელიწადსვე იდება პირველი უსაჭიროესი საფუძველი და ჩვეულებები კითხვაში დახელოვნებისათვის. რამდენადაც უკეთესი საფუძველი ჩაიდება პირველ წელს კანონიერი კითხვის შესწავლისათვის, იმდენად უფრო ნაყოფიერად წავა კითხვის სწავლების საქმე შემდეგ წლებში; პირიქით, თუ ბავში პირველ წელს ცუდად კითხვას დაეჩვია, მაშინ მისი გადაჩვევა თუ სრულიად შეუძლებელი არ გახდება—მაინც ძალიან გააჯანჯლებს საქმეს.

კანონიერად კითხვის შესწავლის დროს აგრეთვე მცირე მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, თუ როდის სწორდება შეცდომები და როგორ ატყობინებს ამას მასწავლებელი მოწაფეებს. შეცდომები უნდა სწორდებოდეს მაშინვე კი არა, როცა დაუშვეს,—მთელი წინადადების წაკითხვის შემდეგ, მისთვის რომ ადვილად მიექცეს ყურადღება წაკითხული წინადადების აზრსაც. აგრეთვე არ შეიძლება შეცდომების გასწორება მთლად სტატიის წაკითხვის შემდეგაც, რადგანაც ამ შემთხვევაში ბავშებს ადვილად დაავიწყდებათ ის შეცდომები, რაც წინად დაუშვეს.

თვითეული წინადადების ანუ ცალკე სიტყვების წაკითხვის დროს მასწავლებელი უჩვენებს მოწაფეებს, რომ ზოგიერთი სიტყვები უკანონოდ არის წაკითხული; მასწავლებელი ხან პირდაპირ და ხან დაახლოვებით ანიშნებს, სად არის შეცდომებით წაკითხული სიტყვა: დასაწყისში, შუაში, ბოლოში, რომელ სტრიქონზე და სხვა. ხან მასწავლებელი თვითონ წარმოსთქვამს მოწაფის მიერ შეცდომით წაკითხულ სიტყვებს, ან კანონიერად და ან ყველა იმ შეცდომებით, რომელიც მოსწავლემ დაუშვა წაკითხვის დროს. ხან-და-ხან შეცდომის დაშვების დროს მასწავლებელი სტოლზე კარანდაშის დარაკუნებით აგრძნობინებს მოწაფეებს, თუ სად რამდენი შეცდომა დაუშვა.

სწრაფად კითხვა იმაში მდგომარეობს, რომ მოწაფემ ჩქარა შეაერთოს ასოები მარცვლებად და ეს უკანასკნელი სიტყვებად, რომელიც შეადგენს წინადადებას.

პირველი საშვალება სწრაფად კითხვის შესწავლისათვის არის, რაც შეიძლება, კითხვაში ხშირი ვარჯიშობა. ვინც ცოტას კითხულობს, ის სწრაფად წაკითხვას ვერ ისწავლის. მოწაფეებმა უნდა იკითხონ, რაც შეიძლება, ბევრი ახალ-ახალი სტატიები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კითხვის სწავლება აჩქარებით იყოს წაყვანილი—ბავშები წაიკითხვენ როგორმე ერთს სტატიას თუ არა, გადავიდენ მეორეზედ. არა, თვითეული სტატია, მოთხრობა, ანუ ლექსი უნდა იკითხებოდეს იქამდის, მანამ ყველა მოწაფეები არ წაიკითხვენ საკმაოდ სწრაფად და კანონიერად. ერთის მხრით, რომ გაცოცხლონ კლასი და მეორეს მხრით, რომ სუსტ მოწაფეებსაც ჰქონდესთ შეძლება თავის ამხანაგებთან ერთად მსვლელობისა.

პედაგოგები ურჩევენ მასწავლებლებს ხშირად მიმართონ გუნდობით კითხვას, მხოლოდ ხოროთი კითხვა ისე უნდა იქმნეს წარმართული, რომ ნამდვილად ყველა მოწაფეებმა და განსაკუთრებით სუსტებმან მიიღონ შიგ მონაწილეობა, ასე რომ ხოროთი წაკითხვის დროს საზოგადოთ უსათუოდ ყველანი ეარჯიშობდენ კითხვაში.

შეგნებითი ანუ განმარტებითი კითხვა თხოულობს, რომ მოწაფემ ყველა მის მიერ წაკითხულ სიტყვებს შეუერთოს ის მნიშვნელობა, რომელიც წაკითხულ სიტყვას ეკუთვნის. ამიტომ, თუ რომელიმე წაკითხვის დროს, მოწაფის სულში არ განიღვიძებენ შესაფერისნი წარმოდგენანი და ცნებები— მაშ მოწაფე კითხულობს შეუგნებლად, მეხანიკურად. ყველა პირველ საკითხავ წიგნში მოიპოვება საჭირო რიცხვი ისეთი სტატიებისა და მოთხრობებისა, რომელნიც აცნობებენ ბავშა, მისთვის სრულიად ახალს ცნობებს, რომელიც აფართოებს ბავშის გონებითს და აკეთილშობილებს მასს ზნეობრივ ბუნებას, ამიტომ ამ გვარი საკითხავ მასალის შემუშავების კითხვას თან უნდა მიყვებოდეს სხვა და სხვა განმარტება, ახსნა და საზოგადოდ მასწავლებლის საუბარი მოწაფეებთან, რომელნიც მხოლოდ მაშინ შეითვისებენ რომელიმე სტატიის დედა აზრს, როდესაც მასწავლებლის ხელმძღვანელობით ექმნებათ სრულიად შეგნებული და შეთვისებული რომელიმე სტატიის არა მარტო თვითოეული აზრი ცალ-ცალკე, ერთიმეორეს დამოუკიდებლად, არამედ შინაგანი ლოგიკური კავშირიც მათშორის უნდა შეითვისონ, როგორც ცნობილი, განსაზღვრული წესი აზრთა, როგორც რამე მთელი, მწყობრი, ორგანიული. მხოლოდ ამ ნაირი შეგნება აზრთა ურთიერთ შორის დამოკიდებულებისა შველის ბავშს გონების განვითარებაში და გონიერი სიტყვა-პასუხის შესწავლაში.

ლ. ბოცვაძე.

(შემდეგი იქნება).

***

მუდამ ყოფილან და იქმნებიან
კაცნი, ზე-გარდმო მადლით ცხებულნი,
მქადაგებელნი ჭეშმარიტების
და სიმართლისთვის თავ-დადებულნი.

მათი ნააზრი, სიტყვა და ღვაწლი
ჩაგრულს ეკლიანს გზაზედ ამხნევებს,
და მოძმისათვის თავ-გამეტებულს
სულისა ძალას აღუფრთოვანებს.

ჩვენ, ცოდვის მონებს, თავზედ დაგვნათის
იმათის მადლის წმიდა ნათელი,
და ამ ნათლისა კურთხეულ სხივსა
თვალს ვერ უ-წორებს ბოროტის მქნელი;

თანაც გრძნობს იგი, რომ ბოროტების
ინგრევა ქვეყნად ბილწი ტაძარი,
და, სიმართლის გზის წინა-მორბედი,
ცაზედ ბრწყინვალე ჩნდება ცისკარი.

თუმცა ჯერ კიდევ სოფლად ფარფაშობს
ფერ-გამოცვლილი ბარბაროსობა,
იქვლევებიან ბოროტის ფეხთ-ქვეშ
ჭეშმარიტება და სათნოება,

მაგრამ მტკიცედ მრწამს: ბოროტის კერპი
ძირს დაეცემის და გამტვერდება,
და ახალ ცაზედ დიდებულადა
ზეზე სიმართლისა გამობრყინდება.

ამ მზის ამოსვლას კაცობრიობა
აღტაცებითა მიეგებება,
და აღყვავდება მის სხივების ქვეშ
პირ-უთნეობა, ჭეშმარიტება.

ილ. ჩხერიმელის-პირელი.

*
* *

თუმცა საზამთროდ ტურფა ბუნება
სევდისა ზეწრით შეიმოსება,
მაგრამ მოელის კვლავ აღყვავებას,
როს გაზაფხული გამობრწყინვდება;
სნეულსაც კაი ექიმობითა
ხშირად სიცოცხლე დაუბრუნდება,—
დატყვევებულსაც რაიმე გზითა
კვლავ ეღირსება თავისუფლება,
მაგრამ ერთხელ მომკვდარი ენა
არასოდესა არ გაცოცხლდება!

ილ. ჩხერიმელის-პირველი.

1894 წ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

წელს სამი სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლიდამ: ქუთაისის, სენაკის და ოზურგეთიდამ ქუთაისის სემინარიის პირველ კლასში შემსვლელთა რიცხვი 80-მდე იქნება და ადგილი კი სულ ორმოცია, სამდვდელოებაბ უნდა მოიფიქროს რამე თავიანთ შვილების შესახებ, რომლებიც უადგილობისა გამო ვერ შევლენ სემინარიის პირველ კლასში...

*
* *

თბილისის სასულიერო სემინარიის სამმართველო აცხადებს, რომ ამ სემინარიის მოწაფენი უნდა გამოცხადდენ თბილისში სწავლისათვის პირველს ენკენისთვეს.

*
* *

ამა წლის პირველი მაისიდამ ჭიათურის რკინის გზა გადაეიდა ამიერ კავკასიის რკინის გზის განკარგულებაში; მხოლოდ ეს გზა დროებით დარჩება ბ. სიმბერგის გამგეობის ქვეშ. ფასი თვითოეულ მოგზაურზე დადებულია შორაპნიდამ ჭიათურამდე 1 მანეთი მოხელეთა ვაგონებში, ხოლო საქონლის ვაგონებით მოგზაურებზე 20 კ. თითოეულზე. ბარგზე პატრონმა უნდა გადაიხადოს ფუთზე 20 კაპ. შეიძლება მგზავრი შორაპნიდამ მახლობელ ადგილს მიდიოდეს, მაგრამ ფასი კი ჭიათურამდის უნდა გადიხადოს.

სწორეთ გასაოცარი ტარიფია დადგენილი! ვგონებთ, ასეთი ტარიფი არც ერთ რკინის გზაზე არ უნდა იყოს...

* *
*

წელს წევაში ძლიერ ცუდი ბაზრობა იყო. მოუსავლობისა და ქვა-გუნდის გადატან-გადმოტანის შეჩერებისა გამო ვაჭრობა, თითქმის, სრულებით არ ყოფილა. აქაურ ერთ კლასიან სამრევლო სკოლას შემოუვიდა გაქირავებული კარვებისაგან 20$_0$/^{0} ანგარიშით 190 მანეთი.

* *
*

ტყუილია «ივერიის» ამბავი, ვითომც ქუთაისის ქალაქის გამგეობა სასულიერო სემინარიისათვის შუაგულ ალაგს აძლევდა სასულიერო წოდებას, მაგრამ ექსარხოსს სასარგებლოდ არ დაენახოს ეს ადგილი. ჯერ-ჯეროობით ქალაქის გამგეობას არც შუა ქალაქში და არც განაპირა ადგილას არავითარი ადგილი არ დაუნიშნავს სემინარიისათვის. ადგილი ამ სემინარიისათვის დანიშნული იყო საბლერის მოსვლის დროს და ის ალაგი რჩება დღესაც სემინარიისათვის.

არჩილ მეფე.

უმაღლეს სასულიერო უწყებაში კითხვაა აღძრული ჯამაგირები და პენსია მიუმატონ სასულიერო სასწავლებლების მასწავლებელთ. ამ გვარი პროექტია: სასულიერო სემინარიების და ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლების მასწავლებელთ პირველ ხუთი წლის განმავლობაში მიეცემათ თორმეტ გაკვეთილზე 750 მან. ნაცვლად 700 მ. შემდეგ ხუთი წლისა მიეცემათ თორმეტ გაკვეთილზე 950 მან.; ათი წლის შემდეგ—1200 მ.; 15 წლის შემდეგ—1500 მ. ამას გარდა თითოეულ მომეტებულ გაკვეთილზე მიეცემათ 60 მ. წელიწადში. სემინარიის ერთ მასწავლებელს უფრო დიდხანს ნამსახურს და პატივცემულს მიეცემა 1800 მ. იმ მასწავლებელთ, რომელთაც 25 წელი უმსახურნიათ, მიეცემათ პენსია შემდეგი სახით: ა) სატახტო ქალაქების სასულიერო სასწავლებლების მასწავლებელთ მიეცემათ წელიწადში 850 მ.; ბ) მასწავლებელთ იმ სასულიერო სასწავლებლებისას, რომლებიც უნივერსიტეტს ქალაქებშია, მიეცემათ 750 მ. და გ) მასწავლებელთ იმ სასულიერო სასწავლებლებისას, რომელნიც სხვა ქალაქებშია, მიეცემათ 650 მ.; იმ მასწავლებელთ, რომელთაც ვადაზე მეტი უმსახურნიათ კიდევ ხუთი წელიწადი, სამსახურის თაეის დანებების შემდეგ ფიქრობენ მიუმატონ პენსიაზე მისი ჯამაგირის ერთი მეხუთედი.

*
* *

ქუთაისის სასულიერო სემინარიაში წელს დანიშნულია მარტო ინსპექტორი რექტორის ჯამაგირით. ინსპექტორად, როგორც ნამდვილად ვიცით, დანიშნულია ნოვგოროდის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი მღვდელმონაზონი დიმიტრი, რომელიც 25 აგვისტომდე მოვა ქუთაისში. სასწავლებლის შეხობის და ინსპექტორის საცხოვრებელ ბინის დასაქირავებლად, სანამ შესაფერი შენობა იქნება აგებული დანიშნულია ათასი მანეთი, საკლასო ნივთებისათვის ხუთასი მანეთი, წიგნთ საცავისა და სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთებისათვის ხუთასი მანეთი.

*
* *

ამა წლის 27 სექტემბრისათვის მისი ყოვლად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან დანიშნულია სამღვდელოების კრება ქ. ქუთაისში. ამ კრებაზე იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების გარდა დაესწრებიან გურია-სამეგრელოს ეპარქიების სამღვდელოების დეპუტატებიც. კრებამ უნდა დაადგინოს, თუ რა შემწეობას მისცემს დასავლეთი საქართველოს სამღვდელოება სასულიერო მთავრობას ქუთაისის სასულიერო სემინარიისათვის შენობის აგების და შენახვის ხარჯში.

*
* *

უვირილაში ხატების და საეკლესიო შესამოსლების საწყობში იმყოფება ორი ათასი პატარა ხატები. სასიხარულოა, რომ მრავალი მღვდლები დიდის სიხარულით ავრცელებენ ამ ხატებს ხალხში, მაგრამ ზოგიერთნი მწყემსნი კი სრულიად არავითარ მუყაითობას არ იჩენენ ამ საქმეში.

*
* *

«მწყემსი»-ს რედაქციამ დაბეჭდა ცალკე წიგნაკებად ღვთისმშობლის მაძინება, რომელიც «მწყემში» იბეჭდებოდა, ორი ათას ცალზე მეტი ზოგი ხალხში უფასოდ დასარიგებლად და ზოგიც გასასყიდლად ძლიერ იაფ ფასად.

*
* *

თბილისის რეალურ სასწავლებელში განმეორებითი ეგზამენები მოხდება აგვისტოს 22, 23, 24, 25, 26 და 27 რიცხვებში.

მისაღები ეგზამენები მოხდება ამავე თვის 25 26 და 27 რიცხვებში.

ამ სასწავლებლის მოწაფენი, რომელთაც თბილისში მშობლები ანუ მახლობელი ნათესავები არა ჰყავთ, ვალდებულნი არიან, საცხოვრებლად დადგენ იმ ბინაზე, რომელიც სასწავლებლის მთავრობისაგან არის მოწონებული.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

საქართველოს მეფე წმიდა არჩილი.

სასტიკი და ხანგრძლივი ბრძოლა გამოსცადა ქრისტეს სარწმუნოებამ საქართველოში. მაჰმადის აღსარების გავრცელების შემდეგ საქართველოს ყოველის მხრით გარს ესიენ მაჰმადიანი ერნი: არაბნი, სპარსელნი და მოსლემანები. ამ მაჰმადიანმა ერმა ძრავალ გზ ს აიკლო ჩვენი ქვეყანა. საქართველოს ბრწყინვალე მეფეები ამარცხებდნენ მტერთა ჯარებს, იცავდენ თავიანთ სამშობლოს და ჭკვდებოდნენ ბრძოლის ველზე, ხშირად იგინი სისხლს ღვრიდენ ქრისტეს სარწმუნოებისათვის, რადგან საქართველოს მტერნი იყვნენ აგრეთვე ქრისტეს მტერნიც. სწორეთ იმ დროს, როცა საქართველოს ერი ასეთ უბედურ მდგომარეობაში იყო გარე შემოსეულ მოსლემანთაგან, ამ ქვეყანას მოეევლინა მეფედ საკვირველი ბრძენი, ჭეშმარიტი ქრისტიანე და სამშობლოსათვის თავგანწირული მეფე არჩილი.

არჩილ მეორე და მისი ძმა მირი გამეფდენ საქართველოში 663 წელს მათი მამის სტეფანოზ II-ის სიკვდილის შემდეგ. ამ ორი ძმის გამგეობის დროს საქართველო აღაოხრა მურვან-ყრუმ, მაჰმადის ძძისწულმა. იგი დიდ ძალი ჯარით შეძოესია საქართველოს და როგორც ჭეშმარიტი აღმსარებელი და მფარველი მაჰმადიანობისა ყოველივეს სწვავდა, რაც კი რამ ხვდებოდა წინ. როცა მურვან-ყრუმ დაამარცხა არგვეთის ორი მთავარნი დავით და კონსტანტინე, მეფეებმა მირმა და არჩილმა, როცა დაინახეს, რომ იგინი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდენ მურვან-ყრუს დიდ ძალ ჯარს, აფხაზეთში გაიქცნენ და სამი ათასი ჯარის კაცით დაბინავდნენ ანაკოპიის ციხეში. მურვან-ყრუმ ჯერ აიკლო მრავალი სხვა ქალაქები და შემდეგ თავისი ჯარი შემოასია ანაკოპიას. მაგრამ მან ამ ციხის აღება ვერ შესძლო. კეთილ მორწმუნე მეფენი მხურვალედ ლოცვილობდენ ღმერთს დაეფარა საქართველო ამ მძვინვარე მტერისაგან. ღმერთმა შეისმინა ამ კეთილ-მორწმუნე მეფეთა ვედრება და პირველ ღამესვე წამოვიდა ძლიერი წვიმა, ამოვარდა საშინელი ქარი, შეიქნა ქუხილი და ელვა, ყოველივე ამაებმა შიშის ზარი დასცა მტრის ჯარს, ხოლო ადიდებულმა მდინარეებმა ჩანთქა საუკეთესო ნაწილი მურვან-ყრუს ჯარისა. იმავე ღამეს არჩილს გამოეცხადა ანგელოსი და უბრძანა, თავს დასცემოდა მტერს და აუხსნა მეფეს, რომ ძლიერი წვიმა, ქარი, ქუხილი და ელვა დასასჯელად მოუელინა ღმერმა მტერს. ქართველები უეცრად გამოვიდნენ ციხეებიდამ და დაერივნენ მტრებს და მრავალი მათგანი დახოცეს. მტერმა დაიწია უკან და დაბინავდა მდინარე აბაშის და ცხენის წყლის შუა. ძლიერი წვიმებისა გამო ეს მდინარეები ადიდდენ, გადმოვიდენ ნაპირებიდამ და დალუპეს 33 ათასი კაცი და 35 ათასი ცხენი მურვან-ყრუს ჯარისაგან. რადგან ამ უბედურების წინ მურვან-ყრუს 35 ათასი მეომარი ხოლერამ გაუწყვიტა, ეს ქვეყნის ამაოხრებელი მტერი იძულებული შეიქმნა მიეტოვებია საქართველო. წასვლის დროს კიდევ უფრო უბედური დღე დაეყენა საქართველოს. ყოველივეს, რაც კი წინ ხვდებოდა მტერს, შეუბრალებლად აოხრებდა, ასე რომ ერთი ადგილიც არ დარჩენილა, რომ მტერს არ აეოხრებინოს.

ამ აოხრების შემდეგ მალე მეფე მირი გარდაიცვალა, დარჩა მარტო არჩილი, რომელიც შეუდგა თავისი სამეფოის შინაგან მოწყობას. მან განაახლა დანგრეულნი ციხე-ქალაქები, აღაშენა ახლები, განსაკუთრებით გაამშვენა ქალაქი მცხეთა და ყოველივე ლონეს ხმარობდა დაემშვიდებია ხალხი და მფარველობა გაეწია თავისი ქვეშევრდომთათვის. სხვათა შორის არჩილმა მისგან განახლებული ქალაქის ცუხმატისის მცხოვრებთ, რომელნიც იმ დრომდე კერპთაყვანის მცემელნი იყვნენ ქრისტიანობა მიაღებინა.

ამ მშვიდობიანობამ განელო თორმეტმა წელმა; მაგრამ უეცრად არაბთა აუარებელი ჯარი ჭეშმასიმის წინამძღოლობით ხელახლად შემოესია საქართველოს და ისე აოხრა ეს ქვეყანა, რომ, როგორც მეისტორიე მოგვითხრობს, ქართლში ერთი შენობაც არ დარჩენილა დაუხიანებელი. არჩილს ძალით არ შეეძლო მტერს გამაგრებოდა. იგი ხარკს აძლევდა

არაბთ და არ ეგონა, რომ იგინი კიდევ შემოესეოდენ საქართველოს და რადგან სამეფოის შინაგან კეთილ-განწყობილებაზე ზრუნავდა, აღარც დიდ ძალი ჯარი ჰყავდა შეგროვილი. არჩილმა წარმოიდგინა, თუ რა აოხრებაც მოელოდა საქართველოს, რომელმაც ცოტა ოდნად მოისვენა, ამიტომ გადასწყვიტა პირ-და-პირ გამოცხადებოდა ასიმს და ეთხოვა მისთვის პატიება, რომ ამ სახით დაეფარა საქართველო დალუპვისა და გამაჰმადიანებისაგან, რომლის გავრცელებაც სურდა ასიმს საქართველოში.

როცა არჩილი გამოცხადდა მტრის ბანაკში, ასიმი თვითან გამოეგება მეფეს და დიდის პატივისცემით მიიღო იგი. შემდეგ ასიმმა წინადადება მისცა არჩილს, მიეღო მას მაჰმადის ალსარება. კეთილ-მორწმუნე მეფემ დინჯად, მაგრამ გარდაწყვეტით უარი გამოუცხადა ასიმს მის წინადადების აღსრულებაზე. მაშინ ასიმმა ბრძანა, საპყრობილეში ჩაესვათ არჩილი. ასიმი დარწმუნებული იყო, რომ თუ ნებით არა, ძალით მაინც მიაღებინებდა არჩილს მაჰმადიანობას, და ამიტომ არ ისურვა მისი მოკლვა.

ამ დროს ასიმთან გამოცხადდა ერთი მთავარი, ნათესავით სომეხი, რომელსაც მაჰმადიანობა მიეღო. ამ მთავრის ბიძა მოეკლა ვილაცა ქართველს; არჩილ მეორის პაპას არ დაესაჯა მკვლელი და განთავისუფლებია, ეხლა ამ გამაჰმადიანებულ მთავარს სურდა შური ეძია მისი ბიძის მოკვლის გამო არჩილ მეორისათვის, რომლის პაპამ ოდესმე განათავისუფლა მისი ბიძის მკვლელი. ამ მთავარმა მოახსენა ასიმს, რომ არჩილმა და მისმა მამამ საქართველოს მეფეების დიდ ძალი ქონება დაფლეს მიწაშიო, მანვე განაცხადა, მე ვიცი, სადაც დამალა დიდ ძალი ქონება ბერძნის იმპერატორმა ირაკლიმო, როცა იგი საქართველოში იყოო. ასიმმა გამოიხმო საპყრობილიდამ არჩილი და ურჩია მაჰმადის ალსარების მიღება და მასთან სთხოვა ეჩვენებინა მისთვის იმპერატორი ირაკლის მიერ დამალული სიმდიდრე და აღუთქვა, რომ დაუბრუნებს მას მეფობას და ყოველივე მისს სიმდიდრეს. ქონების შესახებ არჩილმა უპასუხა ასსიმს, რომ მურვან-ყრუს თავდასხმის დროს ბერძნებმა გამოიტანეს ეს სიმდიდრე ანაკოპიის ციხიდამ და საბერძნეთშივე წაიღესო; მაჰმადიანობის მიღების შესახებ არჩილმა მიუგო: «მე გეტყვი შენ, რომ მე არასოდეს არ უარვყოფ უფალსა ჩემსა და არ გავსცვლი მომავალ საუკუნო ცხოვრებას მსწრაფ წარმავალ ქვეყნიურ ცხოვრებაზე». როცა ასიმმა დაინახა, რომ არჩილთან ვერას გააწყობდა, უპრძანა იქვე თავი მოეკვეთათ მისთვის. ეს მოხდა 20 მარტს 718 წ.

იმავე ღამეს ახლო-მახლო სოფლების მკვიდრნი მოვიდნენ და მოიპარეს წმ. მოწამის გვამი. დიდის პატივისცემით დაასვენეს იგი ერწოში და დაასაფლავეს ნოტკირსკის ეკკლესიაში, რომელიც თვითონ საქართველოს წმიდა მეფის არჩილისაგან იყო აშენებული.

ღვთის სასჯელი ცრუ ფიცისათვის.

ერთი რუსული გაზეთის «ზარია»-ს მე-231 №-ში 20 ნოემბრიდამ 1880 წ. დაბეჭდილია კორრესპონდენცია. ამ კორრესპონდენციაში აღწერილია ერთი ფრიად საყურადღებო ფაქტი, რომელიც ჩვენის აზრით, ბევრს დააფიქრებს. აი რას მოგვითხრობს კორრესპონდენტი: «სოფელ ნასეკოვკაში სცხოვრებდა გლეხი ივანე პოდოროჟნიაკოვი. ეს გლეხი მეტად ხელწამკრავი იყო. იგი მუშაობდა ერთ ურიასთან; ამ ურიას პედოროჟნიაკოვი არა ერთ გზის ჰყავდა შენიშნული ქურდობაში. ერთ დღეს ამ გლეხმა ნაჯახი მოიპარა; თუმცა იგი ნამდვილი დამნაშავე იყო, მაგრამ არ ტყდებოდა კი. ურიამ გლეხს უჩივლა პოლიციის ბოქაულთან, რომელიც მაშინვე შეუდგა საქმის გამოძიებას. პოდოროჟნიაკოვმა განუცხადა ბოქაულს, რომ ის თავის სიმართლეს ფიცით დაამტკიცებს. მაშინვე სტოლზე დაასვენეს ჯვარი და პური. გლეხმა დაიჩოქა და ხმა მაღლა წარმოსთქვა: «უფალო! თუ მე ამ ქურდობაში დამნაშავე ვიყო, დაე მოჰკვდეს ჩემი ერთად ერთი შვილი». შემდეგ გლეხი წამოდგა ფეხზე, ამაყად გადახედ-გადმოხედა იქ მყოფთ და თითქო გულში ამბობდა: «ძალიან მოხერხებულად არ მოვატყუე ურია და პოლიცია»-ო. მართალია, ურია და პოლიცია მოატყუა მან, მაგრამ საწყალმა ვერ მოატყუა უფალი ღმერთი! ცრუ ფიცის მიღების შემდეგ პოდოროჟნიაკოვის სრულიად ჯანმრთელი შვილი, რომლის სახელიც ახსენა მამამ ფიცის დროს, უეცრად გარდაიცვალა. ხუთმეტი წამი არ გასულა, ქოხში შემოვარდა პოდოროჟნიაკოვის თმაგაწეწილი,

ფერმიხდილი და თვალ-ცრემლიანი ცოლი და აცნობა ქმარს, რომ მათი შვილი უეცრად გარდაიცვალაო. ყველა იქ დამსწრეთ შიშის ზარი დაეცა. პოდპოროჟნიკოვი მთლად გაშეშდა, იგრძნო ღვთის სასჯელი, მაშინვე გამოტყდა, რომ საცრუეზე დაიფიცა და აღიარა, რომ ნაჯახი მე მოვიპარეო.

ზნეობრივ-სარწმუნოების მხრით ასეთი ფაქტები ფრიად საყურადღებონი არიან, ღირსია ამ ფაქტებს ყურადღება მივაქციოთ და საქვეყნოთ გამოვაცხადოთ. სამწუხაროა, რომ ასეთ საყურადღებო ფაქტებს ჩვენი საერო მწერლობა და თვით საზოგადოებაც რაღაცა სხვა თვალით უცქერის. მაგრამ ამისთანა ფაქტების უყურადღებოდ გაშვება ჩვენს დროში ძლიერ დიდი დამნაშაობაა.

ვინაიდგან ჩვენთვის ძლიერ საინტერესოა მზგავსი ფაქტები, ჩვენ ამ შენიშვნით გვინდა ყურადღება მივაქციოთ ამ ფრიად, ზნეობრივის მხრით შესანიშნავ და ჭკუის სასწავლო მოვლენას; ეს მით უმეტეს საჭიროა რომ დღეს, ჩვენში ძლიერ გავრცელებულია ცრუ-ფიცი არა მარტო გაუნათლებელ ხალხში, არამედ განათლებულებიც ძლიერ დაუდევრად ეკიდებიან ფიცს. ურიგო არ იქნება, რომ ამ შენიშვნას წაუკითხავდნენ ხოლმე დასაფიცებელ პირთ. აგრეთვე ფრიად სასარგებლო იქნება, თუ სულიერნი მწყემსნი ამ შენიშვნას განუმარტავენ თავიანთ სამრევლოებს.

საეჭვო კითხვების განმარტება.

(სამღვდელო პირთა საყურადღებოდ).

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ განგვიმარტოთ თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით შემდეგი ორი კითხვა:

1) შეუძლია თუ არა მთავარს, რომელიც მეორე ცოლის შერთვისათვის დათხოვნილ იქმნა უწმიდესის სინოდის განკარგულებით სასულიერო წოდებისაგან, და სახელმწიფო ხარჯის გადამხდელ გლეხთა შორის იქმნა ჩაწერილი, კიდევ ირიცხებოდეს სინოდის ნებადაურთველად იმავე ეკლესიაში მედავითნის ადგილზე?

2) შეიძლება თუ არა, მედავითნემ ეკლესიაში და მრევლში წესების ასრულების დროს უჩოხოდ და ქოშებით იაროს?

სოფლის მღვდელი.

რედაქციის პასუხი.

1) როდესაც სასულიერო პირს რაიმე დამნაშაობისათვის წოდება აეხდება, მას არ შეუძლია იმ ეპარქიაში და გუბერნიაში რაიმე თანამდებობა მიიღოს. შეიძლება თანამდებობა მიიღოს, მაგრამ მეორე გუბერნიაში და არა იმ ეკკლესიაში, სადაც მსახურებდა.

2) ქოშებით სიარული ცოდვათ არ უნდა ჩაეთვალოს კაცს, თუ მეტი ფეხ-საცმელი არა აქვს. მაგრამ უჩოხოთ და პერანგის-ამარა სიარული რიგი არ არის არა თუ მრევლში, არამედ თავის ოჯახშიაც, როცა გარეშე პირები არიან ოჯახში. ეს კითხვა ჩვენის აზრით განუმარტებლადაც უნდა ესმოდეს არა თუ მედავითნეს, ყოველ გლეხსაცკი!

ერთი პატივცემული მღვდელი გვწერს: კანონში ნათქვამია, რომ სამხედრო წოდების დაბალ მოსამსახურეთა შვილები თავისუფალნი არიან გერბის მარკებისაგან მეტრიკული გამოწერილობის მიღების დროსო. ვინ უნდა ვიგულისხმოთ სამხედრო წოდების დაბალ მოსამსახურეთა შვილებად?

შეიძლება თუ არა, რომ ერთსა და იმავე მეტრიკის გამოწერილობაში ორი-სამი პირის დაბადება, ქორწინება და გარდაცვალება მოთავსდეს და მიეცესთ მთხოვნელთ ერთი გერბის მარკით?

პ ა ს უ ხ ი.

მარკა არ ეთხოვება მეტრიკის გამოწერილობაზე იმისთანა სამხედრო წოდების შვილთ, რომელთა მამები მსახურებდნენ და დღესაც მსახურებენ სამხედრო წოდებაში და ამ მსახურების დროს იყვნენ

დაბადებულნი ის პირნი, რომელთაც ეძლევათ მეტრიკული მოწმობა. თუ ბავში დაბადებულია ან გადაცვლილი მისი მამის სამსახურიდამ გამოსელის შემდეგ, ამგვარ მოწმობაზე უთუოდ დაკრული უნდა იყოს ოთხ აბაზიანი მარკა.

ერთი გამოწერილობის ბლანკზე არ შეიძლება რამოდენიმე პირთ მიეცესთ ერთი მარკით მოწმობა. გამოწერილობა თვითეულ პირს ცალ-ცალკე უნდა მიეცეს და რამდენიც პირია, იმდენი მარკა უნდა იყოს დაკრული გამოწერილობაზე. ერთად ერთი მოწმობა არის გეორგეინის კურთხევისა, რომელშიაც ეწერება მიმღებს ცნობანი წლოვანებაზე, რომლის აღსარებისა არის, მრთელი ჭკუს არის თუ არა და სხვანი.

შეწირულებანი.

მამაო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოეუცხადო გლეხს გოგია გულასძეს სტურუას, რომელმაც თავისი საფასით ააგო კულაშის ჯვარცმის ეკლესიისთვის ძვირფასი ხელოვნების ჭიშკარი, ღირებული სამას სამოცდა-ათ მანეთად და იმავე ეკლესიას შემოსწირა მშვენიერი შესამოსელი, ღირებული თერთმეტ თუმნად. სასურველია, რომ ზოგიერთი ამ სოფლის მკვიდრნი, უფრო შეძლების მექონნი, მიბაძავდენ ამ ეკლესიურ ქველმოქმედს კაცს და თავისი წელილს შესწირავდენ ეკლესიის სასარგებლოდ.

ბლაღ. ერმალოზ კანდელაკი.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ჩემის მხრით მადლობა გამოუცხადოთ თქვენი გაზეთის საშუალებით გლეხს ბაანა გოგიას ძე იაკობიძეს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამ ითხოვისის იოანნე ნათლისმცემლის ეკლესიას ერთი წყვილი საეკლესიო დროშა, ღირებული ოცი მანეთისა და ერთი ხომლი, ღირებული სამი თუმნისა.

ბლაღ. ი. წერეთელი.

ᲙᲔᲜᲢᲠᲝᲜᲘ ᲒᲠᲝᲨᲔᲑᲘ.

თარიღი	ძველი	ᲮᲐᲠᲘᲗᲮᲘᲡ	ᲡᲐᲮᲔ	ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ
Ნუკრიანი	ᲙᲒ	ᲜᲙ	Წ	Ძ
Ხოკილეშ-ᲣᲐᲮᲘᲡ	Ჯ	ᲜᲚ	Ჯ	Კ
—	ᲜᲔ	ᲜᲯ	Წ	Ლ
—	ᲜᲒ	ᲜᲬ	ᲭᲡ	Ჯ
—	ᲙᲬ	ᲜᲨ	Ხ	Წ
ᲝბილაშᲣᲐᲮᲘ	Ლ	ᲜᲮ	Გ	Შ
—	Ჩ	ᲜᲒ	Ე	Ხ
—	ᲜᲨ	ᲜᲩ	Ლ	Გ
—	ᲙᲚ	Კ	Წ	Ნ
—	Წ	ᲙᲔ	Ჯ	Ნ

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲚᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ:

თბილისშა, ცენტრალურ და ბ. ხიდიკელის წიგნების მაღაზიებში, **ქუთაისშა**—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში და ძმ. ჭილაძეების და წერეთლის წიგნების მაღაზიებში და **ᲣᲕᲐᲠᲐᲚᲐᲨᲐ**—თვით გამომცემელთან.

1) ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲡᲐᲚᲛᲠᲗᲝ ᲡᲯᲣᲚᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲖᲔᲓ, რომელიც უწმიდესი სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში—ფასი . . . . 30 კ.

2) ᲘᲒᲘᲕᲔ ᲓᲐᲠᲐᲒᲔᲑᲐ ᲡᲐᲦᲛᲠᲗᲝ ᲡᲯᲣᲚᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲖᲔᲓ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლების ნიშნებით—ფასი . 50 კ.

3) ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ფასი უუდოთ . . . . 45 კ.

4) ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲝᲪᲕᲐᲜᲘ, თვეთა მეტუველებით, ქორონიკონით და მართლმადიდებელი ეკკლ. უმთავრესი დღეესასწაულების მოთხრობით. ამ ლოცვანში არის სრული სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა—ფასი . . . . 30—

5) ახალი კარაბადინი—მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან.—ფასი 1 მან.

6) მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . 30 კ.

7) ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება.—ფასი ყდით . . 40 კ.

8) მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართველთ განმანათლებელი,—ფასი . 25—

9) გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებელისა.—ფასი . . . . . 25—

10) წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5—
ამისვე წიგნი რუსულად—ფასი . 10—

11) წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ვასილი დიდი, გრიგოლი ღვთის-მეტყველი და იოანნე ოქროპირი, სურათებით—ფასი 5—

12) მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
დიდ-მარხვის წინ, სურათით.—ფასი . 2—

13) ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა სურათით.—ფასი . . 2—

14) ბზობა სურათით—ფასი . . 2—

15) აღდგომა სურათით—ფასი . . 2—

16) პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი

17) თავის მეგობარ ქალთან ქრისტეს შესახებ 5—

18) მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—

19) აღწერა წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა . . 2—

20) წმიდა ნინა ქართველთ-განმანათლებელი . 2—

21) შიო-მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი სურათით—ფასი . . . . 5—

22) მიძინება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა, სურათით—ფასი . 2 კ.

23) ამაღლება პატიოსნისა და ცხოველ-მყოფელისა ჯვრისა უფლისა სურათით 2—

24) ღვთის-მშობლის დაბადება—სურათით 2—

25) ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა 2—

26) ესთერი (დაბადებიდამ მოთხრობა) სურათით—ფასი . . . 5—

27) წმ. მოწამე რაჟდენი—სურათით ფასი 5—

28) ისო ძისა ზირაქისა სურათით . . 5—

29) დაწყებითი გაკვეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე ფასი . . 15—

30) ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) 30—

31) დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე.—ფასი . . 10—

32) ანდრია-პირველ წოდებული ისტორიული პოემა აკაკისა.—ფასი . . 5—

33) თამარ მეფე—სურათით . . . 5—

34) მეფე დავით III აღმაშენებელი . . 5—

35) სასწავლო ჟამნი.—ფასი ყდით . 50—

36) ღვთისმშობლის მიძინების სვინაქსარი (ლექსად).—ფასი . . . . . 5—

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 20 კ.

ვინც 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

ხატები და მხატრობანი.

მიღებულილია პატარა იაფ ფასიანი ფიცრის ხატები ორი და სამგოჯიანი—ფასი . . 20 კ.

ხატები არის: მაცხოვრის, ივერიის ღვთისმშობლის, წმიდა გიორგისა, ანდრია მოციქულის პირველ-წოდებულისა და ათორმეტთა დღესასწაულთა.

ვინც დაიბარეს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართველოში ყველგან გაეგზავნება თითო ხატი აბაზათ და ფოსტის გასაგზავნიც არა გაცახდება რა.

ამასთან იმეჭონება სქელ ქაღალდზე ნახატი წმინდა ნინას, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 8+7 გოჯიანი 20 კ.

ფოტო-ტიპით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი . . . . 5 კ.

ამავე ზომისა და ამისთანავე ნახატი წმიდა ნინა ქართველთ განმანათლებელისა 5 კ.

სახელმძღვანელონი,

დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მეცხრე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ სყიდვა არც სახატავებისა და არც დედნისა. ფასი ისევ ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათსან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით 33 კაპ.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა, შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხი-აბაზ უზალთუნი (90 კაპ.). უყდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა—თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნიც მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა“ და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური; ნარდათ 8 კაპეიკი.

კონა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მესამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა, ორ აბაზათ. წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

ქუწნულა, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

ივანანამ რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, ფასი ორი შაური.

ხატის მიზეზი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი ერთი შაური.

ასპინძის ომი საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით და ქარტით, ფასი ორი შაური.

მირითადი უკუღმართობა, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе четвертое цѣна тридцать копеекъ, въ переплетѣ 40 копеекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе третье, цѣна 40 копеекъ. Въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподаванію русскаго языка по „Русскому Слову“, цѣна 50 коп.

Обѣ части «Русскаго Слова» одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а «Руководство для учащихъ» одобрено для библіотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеніи всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствующаго. (Смотри „Сборникъ“ распоряженіи по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стран. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано Русское Слово» духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

(15—4)

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Доз. цензурою. Тифлисъ, 20 Августа 1894 г.
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.